

კინოს ფემინისტური თეორიები და მათი რეპრეზენტირება თანამედროვე
ქართულ კინემატოგრაფში

მარიამ ჩუტკერაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეო ხატიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჩუტკერაშვილი

22.06.2018

აბსტრაქტი

ჩემი კვლევის მიზანია ვაჩვენო, თუ რა მიმართება არსებობს კინოს ფემინისტურ თეორიებსა და ჟანრულ კინოს შორის, და რა გავლენა იქონია ამ უკანასკნელმა კინემატოგრაფში ქალი პერსონაჟების ტრანსფორმაციაზე. მთავარი აქცენტი გაკეთებულია კონკრეტულად ჟანრულ კინოზე, რადგან ჟანრული კინო თავისი კოდებითა და კანონებით უკვე გულისხმობს პერსონაჟების ფორმირებას, ქალსა თუ კაცზე ტრადიციული, კონვეციური წარმოდგენების მიხედვით.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია თანამედროვე ქართულ კრიტიკაში არსებობს სალომე ცოფურაშვილისა და თეო ხატიაშვილის რამდენიმე კვლევა. მაგრამ ჩემს განსახილველ თემას - ფემინისტური თეორიების მიხედვით ჟანრულ და თანამედროვე კინემატოგრაფში ქალთა რეპრეზენტირება - არ აქვს ანალოგი.

ნაშრომში ვეცდები გამოვკვეთო ის მთავარი მიმართულებები, რის გარშემოც შემუშავდა კინოს ფემინისტური თეორიები და შემდეგ კონკრეტული მაგალითებისა და არგუმენტების მიხედვით გავამყარო ისინი. ვნახავთ, თუ რა არქეტიპებს ამკვიდრებს კინო ქალების მიმართ, რომელიც პატრიარქალურ კულტურაში ღრმად ჩამჯდარი სტერეოტიპების ანარეკლია. ნაშრომი ძირითადად მოიცავს უახლესსა და თანამედროვე ფილმებს. მთავარი ხაზი რის მიხედვითაც ეს ფილმებია შერჩეული, არის ჟანრულ კინოში არსებული საშიში/მონსტრი ქალები, რომლებიც განხილულნი არიან მითოლოგიურ, რელიგიურ და ფსიქოანალიტიკურ დისკურსში.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია: შესავალი, სამი თავი, ერთი ქვეთავი, დასკვნა და ბიბლიოგრაფია. პირველი თავი კინოს ფემინისტური თეორიების ფორმირებას ეთმობა, სადაც გამოიკვეთებიან ის ძირითადი ავტორები, რომელთა ნაშრომებისა და კვლევების მიხედვით იგება ტექსტის დანარჩენი ნაწილი. სამუშაოდ გამოვიყენე კვლევის თვისობრივი მხარე. სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა აკადემიური ავტორების რამდენიმე ნამუშევრსა და ფილმებს, რომლებიც თეორიების

ზუსტი რეპრეზენტირებისათვის და მყარი არგუმენტაციისათვის შევარჩიე. შევებებით ისეთ მნიშვნელოვან ავტორებს როგორებიც არიან: სიმონა დე ბოვუარი, ლუსი ირიგარე, ლორა მალვი და იულია კრისტევა.

მეორე თავში უშუალოდ საშინელებათა ჟანრის კინოში არსებულ ქალთა სახეებს განვიხილავ, სადაც მკაფიოდ არის აღწერილი, თუ რამდენად არქაულია პატრიარქალურ კულტურაში დამკვიდრებული ზოგადად ქალის, და ქალი პერსონაჟების იმიჯები. ამ თავში საუბარია შემზარავი ქალების სემიოტიკურ სახესა და მნიშვნელობაზე. მეორე თავის ქვეთავად მოცემულია ქალების იმიჯის კიდევ ერთი ვარიაცია, რომელიც აგრძელებს და ამყარებს იქამდე მოყვანილ არგუმენტებსა და მაგალითებს.

მესამე, დასკვნით თავში თანამედროვე კინემატოგრაფთან ერთად, კინოს ფემინისტური თეორიების ახლანდელ მდგომარეობასაც განვიხილავ. აქ საუბარია იმ ცვლილებებსა და პროგრესზე, რაც ფემინისტურმა ნამუშევრებმა/ფემინისტმა ავტორებმა განაპირობეს, რის შედეგადაც მთლიანად იცვლება ქალი პერსონაჟებისაკენ მიმართული რაკურსი, და რა ტრანსფორმაცია განიცადა პატრიარქალურ კულტურაში დამკვიდრებულმა ქალის არქეტიპულმა სახემ.

საკვანძო სიტყვები: კინოს ფემინისტური თეორიები, ფემინიზმი, ფემინისტური მოძრაობა, კინემატოგრაფი, საშინელებათა ჟანრის კინო, “სისტერჰუდი”, ქალური სოლიდარობა.

Abstract

The purpose of my research is to show, what is the connection between feminist film theories and the genre cinema, what was the influence and how these theories transformed/changed the stereotypical image of woman. The main accent is made on the genre cinema, because it is a good example to show based on stereotypes, codes and archetypes which represents the traditional patriarchal thinking.

As I know, in the modern film criticism there is one PhD dissertation by Salome Tsopurashvili regarding gender studies and other works and articles by Theo Khatiashvili. But the thesis my dissertation argues of, has no analogy.

In my work I will try to highlight main aspects on which the feminist film theories have been developed and then make them clear by using a different argument and the concrete examples. The majority of the recent critical work on the subject endeavors to analyze the cinematic norms about women and what the patriarchal culture demands from them and how all this problems are transformed in the genre cinema. The research mainly includes the latest and modern movies. The main line, according to those films are selected, is a monstrous woman and her body as a source of the horror, connection with the femininity. All these questions are discussed in a frame of mythological, religious and psychoanalytic discourse.

The structure of the master thesis as follows: introduction, three chapters, one subchapter, conclusion and bibliography. The first chapter covers the information about feminist film theories and how they were developed. Here I will talk about the authors whose work and research became the base for the rest of my text.

For my work I used a qualitative side of research. The dissertation is based on several academic authors and films, which I choose for accurate representation for the feminist film theories. I will focus on important authors such as Simone De Beauvoir, Luce Irigaray, Laura Mulvey and Julia Kristeva.

In the second chapter, I will discuss the images of women in cinema, where we can clearly see how the patriarchal culture describes the representation of women and female characters in the horror movies. Here I will argue about a semiotic image and meaning of the monstrous woman and also a subchapter of this text is given another variation of women's image (Giant Woman), which continues my narration and establishes another kind of stereotypes.

In the final chapter, along with the modern cinema, I will talk about the current state of the feminist film theories closely connected with the modern movies. Also the discussion will be about the changes and development of the feminist film theory, from we can say that now most of the images of women characters are totally modified and it is mainly focuses on women's emancipation.

Key Words: Feminist film theories, Feminism, Women, Cinema, The horror film, Genre cinema, Modern films, Sisterhood, Women's Solidarity.